

ქალაქის მერმა ანასეულში ეკლესიის მშენებლობაზე ზრუნვა დაიწყო



ალიონი. 28 აპრილს, ანასეულში ეკლესიის მშენებლობის ანასეულელი ინიციატორები ქალაქ ოზურგეთის მერს, ბატონ ბეგლარ სიორ-

იძეს შეხვდნენ. თუმცა, ქალაქის მერმა ამ ეკლესიის მშენებლობაზე ზრუნვა გაცილებით ადრე დაიწყო, როცა მოსახლეობის თხ-

ონის შესაბამისად, მიმართა ეკონომიკის სამინისტროს 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (ანასეულის ყოფილი კულტურის სახლის მიმდ-

ბარე ტერიტორია) ქალაქის მერიისთვის საკუთრებაში გადასცემის შესახებ.

როგორც სიორიძემ შეხვედრაზე თქვა, ეკონომიკის სამინისტროდან მიღებულია დადებითი პასუხი.

ინიციატორების ინფორმაციით კი, მოძიებულია ორი ინვესტორი, რომლებიც გაიღებენ მშენებლობის ხარჯებს, ფაქტობრივად შექმნილია ანასეულში ეკლესიის მშენებლობის ფონდიც.

შეხვედრაზე, ოურისტებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, გადაწყდა, რომ ქალაქის საკრებულოს მომავალი სხდომის დღის წესრიგში შეიტანენ მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანის საკითხს. ამ აუქცი-

ონში კი ანასეულელთა მხრიდან სწორედ ეს ფონდი მიიღებს მონაწილეობას.

„არა მგონია, ვინმე დაინტერესდეს ამ მიწის ნაკვეთით, რადგან საუბარია აქ ტაძრის მშენებლობაზე, თუმცა, ამ 9 თვის განმავლობაში იმდენ წინააღმდეგობებს წააწყდით, არაფერია გამორიცხული. მოკლედ, მზად ვარ, ყველაწილად მხარი დაგიჭიროთ ამ საღვთო საქმეში და გისურვებ წარმატებებს“, – უთხრა ბეგლარ სიორიძემ ანასეულელებს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქალაქის მერის პორტფელში დევს ანასეულში, კომუნისტების დროს, კავშირგაბმულობის დაწყებული და დაუმთავრებელ მენობაში, ქორ-

წინების სახლის გახსნაც. ანასეულელები იმედოვნებენ, რომ მერი გააგებთ მოეკიდება და დადებითად გადაწყვეტს ამ საკითხს, მით უფრო, ეს სახლი არ იქნება მხოლოდ ანასეულელთათვის და მას შეეძლება მოემსახუროს სხვა მუნიციპალიტეტების მექორწილე წყვილებსაც.

ანასეულში ეკლესიის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას ადგილობრივი მოსახლეობა ხუთი წლის წინათაც ითხოვდა, მაგრამ მაშინ, სამწუხაროდ, ადგილობრივი ხელისუფლების შეგონებულმა რგოლებმა, დაპირების გარდა, კერაფერი შეძლეს.

ა ლ ი ო ნ ი

უბგველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ბაზეთი გამომცემის
1931 წლის
5 იანვარი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოფილკაპიტალიზმული გამომცემი. №18 (10108, 4 მაისი, 2015 წ. შპსი 50 თეთრი).

რეპორტაჟი დაბა ლაითურიდან

„ღია კარის სხდომა“ და ოპოზიციის პროტესტი

მარი კოპოვა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ საკუთარი ამომრჩეველები „ღია კარის სხდომაზე“ მიიწვია და მათი პრობლემები მოისმინა. როგორც მოსალოდნელი იყო დასმული საკითხების ნუსხა საკმაოდ ვრცელი გამოდგა. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას დახლოებით ერთნაირი პრობლემები აქვთ.

სოფელ გურიანთის წარმომადგენლის გური არბელიძის თქმით სოფელში საყანე ფართობების დახვნა ჯერ დაწყებული არაა, რაც თავისთავად თევზის დაგვიანებას გამოიწვევს. არბელიძე იმ გადასახდსაც აპროტესტებდა, რომელიც გურიანთლებმა კერძო „მექანიზატორს“ უნდა გადაუხადონ ფართობების დათესვის საფასურად. მან ხელისუფლებას ზოგადდ სოფლის მეურნეობის კუთხით გაწეული და მომავლისთვის დაგეგმილი აქტივობები დაუწუნა.

ჭანიეთელი გიორგი ლომჯარია თანასოფლელების სახელით სოფლის ცენტრის მოწოდებას ითხოვდა. კონკრეტული ბიძინა მასხარაძე საყანე ფართობებთან ნაპირსამაგრი სამუშაოების დაწყების აუცილებლობას ამტკიცებდა. დაგეგმვარეთ „თვარა დამა“ მოპირული თოხი უნდა მარი“-ო ამბობდა. შრომის ბალის მენეჯერი ბალის შენობისთვის სახურავის და კანალიზაციის მოწესრიგებას ითხოვდა. აღმოჩნდა რომ მთისპირის და ნარუჯის საერთო პრობლემა უწყობლობაა. იყო სოფლები, რომლებშიც კონკრეტულ უბნებში ბუნებრივი აირის შეყვანა უნდა და ხელისუფლებას „სოკართან“ „შუამდგომლობა“ თხოვეს. გაზის შეყვანა სოფ. ოზურგეთლებს, ნარუჯელებს და ლიხაურლებს სურდათ. ასევე რამდენიმე სოფლის წარმომადგენელმა შიდა გზების რეაბილი-



ყოფილი მეურნეობა-ბიზანტი ბიზანტური პრობლემებით



„მიწა მაინც მომეცა, სხვანაირად რომ ვერ მასაქმებ!“

თამარ მარხანიშვილი

ალიონი. ლაითურში 30 აპრილს გახლდათ. იმის გამო, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერ დაბის საჯარო სკოლის პედაგოგთა ტრანსპორტირებისათვის შექმნილ ავტობუსის ტექნიკური პრობლემა შექმნია, ნარუჯამდე ანალოგიური ტრანსპორტით ვიმგზავრეთ. ნარუჯაში ცოტაღიანი დაყოვნების შემდეგ კი, ხსენებული ავტობუსიც გამოჩნდა (მძღოლს უყოჩაღია) და, გაკვეთილების დაწყების მასწავლებელი ზარის დარეკვამდე რამდენიმე წუთით ადრე, ლაითურის საჯარო სკოლის ეზოში ერთად შევაბიჯეთ პედ-

აგოვებმა და ჟურნალისტებმა. თვითმფრინავს თუ დაკვირვებისხარტ ცაზე, ნაშვების ზოლს რომ ავლებს, ასეთ კვალს, ოღონდ მტვრისას, ტოვებს ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება ლაითურის გზაზე გავლისას და მტრისას, ვინც იმ დროს გზისპირას დგას. ამის გამო გზისპირა დაცვით ტყის ზოლებში კრიპტომერები მარადმწვანე კი არა, მარადმტვრიანია. ფიზიკის მასწავლებლის ქალბატონი მზია ლლონტის თქმით, ასეთ ბუღში, ჯანმრთელობა რომ შეინარჩუნონ, ადამიანები არიწინალებით უნდა დადიოდნენ. ახალ-

რეაბილიტირებული (გადახული, მოხრეშული და დაგრედეებული) გზის შენარჩუნებისა და ეკოლოგიური დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მისი მოასფალტება, მით უფრო, რომ უკვე გაჩენილია ორმოები.

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის **გელა ქანთარას** თქმით, დაბაში მხოლოდ ელექტროენერჯის ინდივიდუალური გამრიცხველიანების საკითხია მოგვარებული. ბოლო 25 წელიწადია, სხვა ნათელი წერტილი, სამწუხაროდ არ ჩანს: „დაბაში მხოლოდ გამ-

რიცხველიანების პრობლემა გადაწყვეტილი. ბუნებრივი აირი ცენტრამდე 10 წლის წინ მოიყვანეს, ინდივიდუალურად 10-12 ოჯახში თუ იქნება შეყვანილი. გეპირვებიან, აპრილში დაიწყება, თებერვალში დაიწყება, მაგრამ ჯერჯერობით არ დადგა ასეთი თებერვალი და აპრილი. ან რა გახდა ეს გზა, 8-კილომეტრიანი ნორმალური გზა არ ეკუთვნის, ვთქვით, 8 ათას კაცს?!

ინსტიტუციური მდგომარეობა მოშლილია დაბაში. სანამ ყვე-



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მილიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მილიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მილიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მილიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გასწვება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით
- საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოქტომბრით ალიონით

„ღია კარის სხდომა“ და ოპოზიციის პროტესტი

იტაცია, სანაგვე ურნებით უზრუნველყოფა და სტადიონის მოწვობა ითხოვა. ბავშვებს მუზეუმის რემონტი სურთ. აღინიშნა რომ მშვიდობაურად კულტურის სახლი სასწრაფოდ გადასურვას საჭიროებს.

ღია კარის დღეს საკრებულოს სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები ესტუმრნენ. ისინი ძირითადად შეჩერებული სოციალური დახმარების აღდგენას, წამლის საფიდელ თანხას, სახლის შეკეთება-შემქნას ითხოვდნენ.

„ღია კარის საკრებულოზე“ სულ 59 მოქალაქე დაარეგისტრირდა მათგან სხდომაზე 40 გამოცხადდა.

მსგავსი ფორმატის შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პირველად ჩატარდა. შეხვედრას ოპოზიციონერების პროტესტის გარეშე არ ჩაუვლია. ნაციონალურმა პროტესტი სხდომაზე არ დასწრებით გამოხატეს. ლეიბორისტი ნათია შარაშენიძე კი „ღია კარის სხდომაზე“ მივიდა, რათა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ეთქვა „ეს ხალხი საგაზაფხულო საქმიანობას იმიტომ მოწვევებენ და აქ მოიყვანენ რომ საკუთარი თავის ქება მოეცხინათ“-ო. მან ასევე სოფელ მელექელურში მცხოვრები ფარეხაშუ-



ილების პრობლემა შეასწინა ხელისუფლებას. მისი თქმით, კომპანია, რომელმაც მელექელურში გზა გაიყვანა ფარეხაშვილების ეზოსთან არ გაჭრა წყლის გამტარი არხი და ეზო იტბორება. შარაშენიძემ ადგილობრივ ხელისუფლებას აღნიშნული პრობლემის მოგვარებისკენ მოუწოდა.

საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას თქმით ყველა განცხადებას მოჰყვება რეაგირება და ყველა მოქ-

ალაქე წერილობით მიიღებს პასუხს. დავით დარჩია: „პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებაშიც ვიქნებით ისეთი ერთიანები როგორც ვიყავით დღეს სხდომაზე. ხელისუფლება მზად არის არა მარტო დახურულ სივრცეში, არამედ ღია კარის პრინციპის გათვალისწინებით უშუალოდ მასმედის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების წინაშე მოუხმინოს თავის ამომრჩევლს. ჩვენი მიზანი და სურ-

ვილია რაც შეიძლება ახლოს ვიყო ჩვენს მოსახლეობასთან“.

დემიტრი კვერელიძე-„ჩვენთვის მთავარი პრინციპია საჯაროობა, უშუალო და ღია კავშირი მოსახლეობასთან, რომლის დასტურიც „ღია კარის სხდომა“ გახლდათ. გულწრფელად ეწუხვარ, რომ დღეს კოლეგამ მეზობელი მუნიციპალიტეტიდან, ნათია შარაშენიძემ, რომელმაც პროცედურების დარღვევითა და ჩვენი კეთილგანწყობით ისარგებლა, ცხადად დაადასტურა, რომ იგი მოსახლეობის მნიშვნელოვან და ღირებულ ინტერესებს უგულვებელყოფს. ეს ქალბატონი, დღეს წარმონიშნა, როგორც არაკომპეტენტური ობის საფუძველზე შერჩეული დეპუტატი, რომელსაც ელემენტარული ცოდნა არ გააჩნია თვითმართველობის საკითხებზე, საკრებულოს რეკლამენტზე. ამ შეხვედრაზე პოლიტიკური დივიდენდების დაწერის სანაცვლოდ, მისი შეუსაბამო, კონტრესტიდან ამოვარდნილი განცხადებებით, საკუთარი თავის ლუსტრირება მოახდინა. ვურჩევ ხელშეშლის ნაცვლად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ამ წამოწყებას მხარდაჭერა გამოუცხადოს.“

ქალაქის ქუჩების მოასფალტება იგეგმება



ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ და ვიცე-მერმა, ალექო ბურჭულაძემ ოზურგეთის ის ქუჩები მონინახულეს, სადაც ასფალტის ახალი საფარის დაგება იგეგმება. მგელაძის, ლალიონის, გოლიაძის, თაყაიშვილის მეორე ჩიხის, კლდიაშვილის და ჩანჩიბაძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგების, ხოლო

ქალაქის სხვა ქუჩებზე ორმული შეკეთების სამუშაოებია დაგეგმილი. ასევე, ასფალტის საფარი დაიგება თაყაიშვილის ქუჩაზე, სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე და მოხდება სკვერის რეაბილიტაცია. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულო მომდევნო სხდომაზე იმსჯელებს.

რეგიონის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს



ალიონი. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გურიის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს.

- სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ან მათთან თანამშრომლობით განსახორციელებელი ყველა პროექტი, რომელსაც გააჩნიათ რეგიონული ან ადგილობრივი მნიშვნელობა და ამასთან, შეესაბამებოდნენ რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს. სამოქმედო გეგმაში აისახება კერძო/დონორული სახსრებით დაფინ-

ანსხული პროექტებიც. პროექტის შეტანა სამოქმედო გეგმაში არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მიიღებს დაფინანსებას. ეს არის ჩამონათვალი იმ სამუშაოებისა, რომლის განხორციელებაც იგეგმება რეგიონში, თუ მუნიციპალიტეტში მისი განვითარებისა და არსებული პრობლემის გადაჭრის მიზნით. დოკუმენტებში თავმოყრილია ყველა ის პროგრამა, რომელიც პრიორიტეტად მიაჩნია ადგილობრივ ხელისუფლებას - განაცხადა საქართველოს დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინიბიძემ.

ბერბსა და დროშას, საგარეულოდ, უახლოეს საკრებულოში დაამტკიცებენ

„ალიონი“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შექმნის მიზნით, გამოცხადებული კონკურსი დასრულდა. სამუშაო ჯგუფი საუკეთესო ესკიზის გამოსავლენად, 30 აპრილს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბა. სულ წარმოდგენილი იყო ოთხი ავტორის 6 ნამუშევარი. კონკურსში მონაწილეობდნენ ნატალია გრიგალაშვილი, ავთო მანთიძე, არჩილ კუტალაძე (რომელსაც გერბისა და დროშის სამი ვარიანტი ჰქონდა წარმოდგენილი) და ავტორთა ჯგუფი საყვავლა სალუქვაძის, თამაზ ლომჯარიას, რევაზ ჯაშის და ირაკლი დარჩიას შემადგენლობით. საუკეთესო ესკიზად სწორედ ავტორთა ჯგუფის ნამუშევარი დასახელდა.

განმარტებით ბარათში, რომელიც ნამუშევარს ჰქონდა დართული ნათქვამია რომ: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის ჰერალდიკის შექმნისას ავტორთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა იმ გეოგრაფიული და ისტორიული მემკვიდრეობით, საზგასმით რაც განასხვავებს და გამორჩეულს ხდის ჩვენს მუნიციპალიტეტს სხვებისგან.“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთადერთია ქვეყნის მასშტაბით, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს ასე სიახლოეში შავი ზღვის სანაპირო და ალბური საძოვრები ლაფარდოვანი ცით. რის გამოც დროშის და გერბის მოცემულ ნიმუშში დომინირებს მწვანე და ლურჯი ფერი. მუნიციპალიტეტის ტერიტორი-

აზე მდებარეობს ზღვის სანაპირო უნიკალური მაგნიტური ქვიშით, რომელიც ერთადერთია შავი ზღვის რეგიონში, გამოსახულია შავი ფერით და თეთრი ტალღით.


შუა ნაწილში განლაგებული სვეტი დაგვირგვინებული ოზურგეთში საუკუნეების განმავლობაში დაცული თამარ მეფის ნაქონი ჯვრის ფორმით, ხაზს უსვამს რეგიონისთვის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრის მნიშვნელობას.

ფარის ფორმის წითელ ფონზე გამოსახული შველი, ცისკრის ვარსკვლავით მინიშნებს მუნიციპალიტეტის პირდაპირ ისტორიულ მემკვიდრეობას გურიის სამთავროსთან, მის მემამოზე სულზე და ნათელი მომავლის რწმენაზე.

შერჩეული ესკიზი ჰერალდიკის საბჭოს მოსაზრებებს ელოდება. დადებითი პასუხის შემთხვევაში საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ახალ გერბსა და დროშას მიიღებენ.

ოზურგეთის დამტკიცებული სიმბოლოები პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის საბჭოს რეკომენდაციით იცვლება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა დროებითი სამუშაო კომისია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, დემიტრი კვერელიძის ხელმძღვანელობით. კონკურსი 10 თებერვალს გამოცხადდა და 20 აპრილს დასრულდა.

გერბისა და დროშის საუკეთესო ესკიზის ავტორი 3 000 ლარით დაჯილდოვდება.



ყოფილი მშენებელი-გიგანტი გიგანტური პრობლემა



ლავრი დაიქცეოდა, მთავარი ინჟინერი ვიკი და ასეთი რამ ნამდვილად არ მინახავს, ვერც წარმოვიდგენდი. ბოლო 25 წელია, სახელმწიფო ვერაფერში ეხმარება მოსახლეობას, ძროსა დავაკალი და ცნობა მომცეს, რომ ჩემი, ესაა, მუტი არაფერი. აქ სტალინისდროინდელ ქონებას მარცვავენ დღესაც.

ძირითად აჭარული მოსახლეობა და იცით, რატომ თხოვენ მიწას? დასაქმების სხვა პერსპექტივა არ ჩანს, სხვა გამოსავალი ვერ ნახა. მიწები კი თბილისიდან იყიდება, ზის ვიღაც კომპიუტერთან და ისე. ორი წლის წინათ ირანელმა მოქალაქემ იყიდა 50 თუ 40 ჰექტარი, ებრაელმა მოქალაქემ – მგონი 51 ჰექტარი, აი, ადგილობრივისთვის კი პრობლემა შეიქმნა მიწის შექმნა. ეს არის ძველი შეცდომა და ამის გამოშვორებული ჩვენ არ ვართ, გაიძახიან. შე დალოცვილი, ასეთი უნაითო თუ ხარ, მიწა მინც მომეცი, სხვანაირად რომ ვერ მასაქმებ“.

რამდენადმე დამამშვიდებელი აღმოჩნდა ინფორმაცია სკოლის შესახებ, რომელიც მოგვცა მთემბატის მასწავლებლებმა **ნოდარ ქარცივაძემ**:

„განათლების სამინისტრომ 120 ათასი ლარი გამოჰყო სკოლის შენობაში მეტალოპლასტიკის ფანჯრების ჩასასმელად“, – ვითხრა ბატონმა ნოდარმა.

თუმცა, ლათიურის საჯარო სკოლის შენობას მხოლოდ მეტალოპლასტიკის ფანჯრები ვერ უშველის. უსასური და ბათქაშამოცვენილია გარეთა ფასადი, ამორტიზებულია იატაკი, შესაკეთებელი და შესაღებელი კედლები, გასანახლებელია ინჟინტარი.

ლათიურელები, წყურვილით რომ იხრჩობოდნენ, წყალს ვერ დაგაღვიწვიებენ. რა დაგაღვიწვიონ, რაც არ აქვთ?! ცენტრალიზებულმა წყლის სისტემამ აქ ჯერ კიდევ კომუნისტების ხანის დასასრულს დალია ჩაილის წყალი. დარჩენილი ძრავები და მილები ჯაროდ გაიტანეს განუკეთხაობის დროს. მერე, ბატონმა ვანო ჩხარტიშვილმა, როცა ის ოზურგეთის მაჟორიტარი იყო და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქეარმა“ ნაწილობრივ გადაწვიტეს ეს პრობლემა 6-კლასობრივანი მაგისტრალის შემოყვანით. დღეს არც ეს მაგისტრალი მოქმედებს. დაბაში არსებული 100 ჰექტარი, დიდი-დიდი 5 თუ არის მუდმივად მოქმედი, დანარჩენი ვაღვიწვიანობის დროს შრება და დაბაც ფაქტობრივად უწყლოდ რჩება.

„თუ ლათიურში პრობლემა არ არის 1200 პატიმარზე გათვლილი ციხისათვის 2500-ტონიანი რეზერვუარის დამონტაჟება, საინჟინერო, ადგილობრივებმა რა დაგავალო? – კითხვას უგზავნიან ლათიურელები ხელისუფლებას.

დაბის დეპუტატ **რესან გაბაიძის** და დაბაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელ **ემზარ ბერიძის** საუბარში გაირკვა, რომ დაწესებული აქვთ მუშაობა ახალ პროექტზე. მათი თქმით, პროექტი დაბის ყველა უბანს მოიცავს და

მისი ღირებულება დაახლოებით 5 ათასი ლარია. სათავე ნაგებობიდან დაბის ყველა უბანში წყლის შესაყვანად 30 კილომეტრამდე მილია საჭირო.

როგორც რესან გაბაიძემ ვითხრა, დამთავრდა „სოკარ-ჯორჯიასთან“ მოლაპარაკება და საბოლოოდ გადაწყდა დაბის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის საკითხი. შესაბამის სამუშაოებს შეუდგებიან 2016 წლიდან. ძალი დასუფთავების სერვისცენტრიც შემოვა თავისი ტრანსპორტითა და პერსონალით.

საკმაოდ რეზონანსული გამოდგა დაბაში 25 აპრილს გამართული აქცია, რომელსაც, დაბის მცხოვრებთა თქმით, გადაჭარბებული პოლიტიკური შეფერილობა მისცა „რუსთავი-2-მა“ და ერთობა ადგილობრივმა მედიასაშუალებამ. აქციაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბათუმელი უფლებამცველი თამაზ ბაკურიძე და დაბის მაჟორიტარი დეპუტატი რესან გაბაიძე. დაფინტერესდით, როგორ მოხდა ბათუმელი უფლებამცველი აქციაზე აქციის ორგანიზატორის **ლევან ლუშაბის** თქმით, თამაზ ბაკურიძემ მიიწვია აქციაზე:

„**თამაზ ბაკურიძე მე გამოვიძახე, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერაღიქვია, ჩვენი პრობლემებით არ დაინტერესდა და მათ აღმოსავლურად თითქმის არ გააქანა. თამაზმა დაგვამარტოვებინა, შეგვიპირდა. მისი ინფორმაციის საფუძველზე დამითმეს „ობიექტივში“ 50 წუთი. არ გაინტერესებო? გადაცემის დროს ლათიურში შეუქი გამოიჩინა, ხოლო გამოვიდა რომ დავამთავრე, ჩაირთო. ჩემებმა გენერატორი ამუშავებს და ისე უყურებს.**

აქციის ძირითადი მოთხოვნები ყველამ იცის, მთავარი მინც მიწის საკითხი იყო. აბა, უმძიოდ რა უნდა ჰქნას ლათიურში კაცმა?! „გეოპლანტთან“ გვაქვს დიდი ხნის დავა ფასებთან დაკავშირებით. ყოფილ გუბერნატორთან გიორგი ჩხაიძისთან გვექონდა სიტყვიერი შეთანხმება 1 კვ. მეტრი – 35 თეთრი და დაფარვის ვადა სამი წელი. მერე 47 თეთრი ვანდა, ახლა 55 თეთრზე ავიყვანეს. 6 თეთრიც გაფორმება ვდებ. თავის დროზე ჩალის ფასად შეიძინეს ეს მიწები, ისე რომ ადგილობრივები ანუნიშავდნენ არ ჩავგავდეს. 110 ჰექტარი გაიყიდა 35 თეთრად. „გეოპლანტის“ წარმომადგენელი ოზურგეთში ბლაგიძე ასე სათავაზობდა მსურველს.

– **ბატონო, ლევან უფლებათა დამცველს უთქვამს აქციაზე „ჭარალის არაფის დავაგვრინებო“. ჰქონდა კი მას ამის თქმის საფუძველი?**

– ეს მედიამ გააშუქა ასე კონტექსტიდან ამოვარდნილად. მსგავსი არც საფუძველი იყო და არც თქმულა.

– **პოლიტიკური კანკალობის ელფერი დაჰყარდა ამ აქციაზე.**

– შესაძლებელია. მე თვითონ არ ვარ არც ერთი პარტიის წერი. ვიყავი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, მაგრამ

ახლა არაფის ვუჭერ მხარს. ან რატომ უნდა დავუჭირო? „ნაციონალისტის“ დროს სასაფლაოები არ შემოიღობეს და გამოყოფილი ფული ისე გააქტეს, ერთი თეთრიც მიზანმიმართულად არ გამოუყენებიათ. ვინც ეს გააკეთა, ის დღეს ისევ მთავრობაშია. ლათიური მაგათ სჭირდებათ საარჩევნო მართიანად. ივანიშვილმა „ნაციონალისტები“ მოატყუა ხალხი.

– 24 აპრილს გეოპლანტის ხელმძღვანელი მიხეილ ჭკუასელი იმყოფებოდა ოზურგეთში, მანამდე, რამდენადც ვიცი, მოდევნებდნენ შორის შეთანხმება შედგა. 25 აპრილს კი აქცია გამართეთ.

– **ოზურგეთში ჭკუასელთან შეხვედრა რომ იყო, ნამდვილად არ ვიცი, შეთანხმება რომ მომხდარიყო, მაშინ აქციას რატომ გაემართავდი?**

ძალაში რჩება მოსახლეობის მოთხოვნა, რომელიც ბატონ ჭკუასელს გავუვზავნეთ. ესაა: მოსახლეობასა და „გეოპლანტს“ შორის შეთანხმების მიღწევამდე შეჩერდეს ლათიურის ტერიტორიაზე „გეოპლანტის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გაყიდვა სხვა ფიზიკურ და თურითულ პირებს; ძალაში დარჩეს გამოსყიდვის პერიოდი სამი წელი და გამოსყიდვის ფასი – 1 კვ.მ 0,35 ლარი“.

დაბა ლათიურის მაჟორიტარმა დეპუტატმა რესან გაბაიძემ მოგვანოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩასთან**, გამგებელ **მერაბ ჭარუყვანიშვიტთან** და დაბა ლათიურის მოსახლეობის წარმომადგენლებთან „გეოპლანტის“ ხელმძღვანელის, ბატონ **მიხეილ ჭკუასელის** ოზურგეთში სათანახსოვრანი შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. შემოკლებით ვთავაზობ ბატონი მიხეილ ჭკუასელის საუბრის შინაარსს:

„ჩვენ სამი კვირის წინ შევეხდით. მეგონა, ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო. ჩამოვედი იმ განზრახვით, რომ ხელშეკრულებაზე გველაპარაკა, 31 მაისამდე ყველა ხელშეკრულებაზე ხელი მომიწერა და შევედგინა გრაფიკა, ისე, რომ ორივე მხარისთვის გარკვეული ყოფილიყო ყველაფერი. მე დღეს დამხვდა სიტუაცია, რომელსაც ნამდვილად არ ველოდი. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ამ ხელშეკრულებისთვის მზად არ ვართ. შეხვედრას ესწრებოდა ხუთი კაცი, ოთხი თავიდან და ერთი შემოგვიერთდა, როგორც გაფიქრებული მხოლოდ ერთი უარობს იმას, რაც იქ იქნა და რაზეც შეთანხმდით. რატომ უნდა გვექონდეს ლაპარაკი იმაზე, რომ რასაც დეპუტატმა ამბობს, მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტება. ძალიან გამიხარებოდა პატივცემული აქ რომ ბრძანდებოდეს, იმიტომ, რომ რასაც მოგვცები, მოგვცები ქრონოლოგოფრად...“

უნდა შეთანხმდეთ, რომ ეს მიწა არის კრძო საკუთრება და მას ფლობს „გეოპლანტი“. ამიტომ მხოლოდ „გეოპლანტთან“ მოლაპარაკების შემდეგ უნდა მოხდეს შეთანხმება „გეოპლანტს“ და იმ ფიზიკურ პირებს შორის, რომელთაც სურთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის შექმნა.

ჩვენ 2011 წელს ჩავუღრმავდით იმ საკითხს, რომელიც ეხებოდა ჩვენს საკუთრებაში არსებული მიწის ფართობების მიტაცებას ლათიურსა და ნარუჯავში. ამ მიწების დიდ ნაწილზე იყო ჩანის პლანტაციები, რომელიც იქნა ამოძირკული და განადგურებული და იქ ან სახლი ჩაიდგა, ან ცხოველების სადგომი, ან კიდევ სხვა კულტურა გააშენეს. ჩვენ ამ მიწაზე ვიხდით მიწის გადასახადს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ მოვახერხეთ ამ მიწების აღწერა, და ვუთხარა „გეოპლანტის“ წარმომადგენელს მიწის საკითხებში **ვახლ ბლაგიძეს**, რომ აქედან არის ერთი გამოსავალი. კანონის შესაბამისად, მოვი-

ხოვით ამ მიწების დაბრუნება ისე, რომ იქ მასზე არაფის იყოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დგება საკითხი: რას ვუშვებით ამ მიწას, რაში ვიყენებთ? გვაქვს პროექტი და შეგვიძლია გავაკეთოთ კიდევ, მაგრამ რა ვუყოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ მიწებზე არიან?

მიწის გადასახადს ხომ ვიხდით აქედან, ამ მიწას თავისი ღირებულება გააჩნია, ეს მიწა არის იპოთეკით დატვირთული, მას აქვს გარკვეული ფასი, რომელი ფასიც ბანკმა. ის უნდა იქნას ბანკისთვის გადახდილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მიწა ვერ გათავისუფლებს, სულ რომ ვიღაცამ გაჩუქოთ, ბანკი მინც მოვა და წაიღებს. ვერ გაიფორმებთ. ბანკი არ მომცემს უფლებას იმიტომ, რომ ეს მიწა ჩემზე უდევს იპოთეკაში, და რომც გადმოვიფორმოთ, მინც ვირაგნობა გადმოვცვებთ, ორმაგი შეხლულა აქვს. შესაბამისად ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, არ გვინდა არანაირი ხეირი, არანაირი მოგება, გავვიდით, რამდენადც დევს ბანკში, ამას გაფორმების ხარჯები ექნება, ეს ხარჯები გადავიფორმეთ და წაიღეთ ეს მიწა. მე ამ ფულს არ ვსარგებლობ, ეს ფული მიდის ბანკში, იდება დეპოზიტზე, იხსნება ჩემი ვალდებულება ბანკის მიმართ და ამით მთავრდება.

ეს წინააღმდეგ მოგაშხადეთ 2011 წლის აპრილში, პირველი მიწები გავყიდეთ და ის მიწები ხალხს დასაკუთრებული აქვს. პირადად არ მომიძინია, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვილაკებდი გამოდიან და უბნებთან ხალხს, არ გადაიხადით ფული, ჩვენ მაგათ მაგ მიწებს უფასოდ წავართმევთ, აი არჩევნები მიდის და უფასოდ მოგვეცემო. რამდენი არჩევნები გავიდა, მაგრამ მისცეს ვინმეს? ფასზე ვლავობთ ხომ? კი, ბატონო, 35 თეთრი ღირდა, მერე მოიმატა დოლარის კურსის ზრდის შესაბამისად. შეგიძლიათ გადაამოწმოთ. კიდევ გისწონთ, თუ იპოთეკა არ მოგხსენიებ, ჩვენ ისე ვერ გავმოვიფორმებთ ამ მიწას. იპოთეკა გადმოვცვებით და მერე ჩვენთან პრეტენზიები ნაკლებად მისაღები ვანდება.

მოსახლეობის სახელით შედეგად წერილში ბევრი რამ სწორად არ ექნა. ვთქვა, ეს გვერდზე გადავლით და მიხარით, რა ვინდათ-მეთქი. დაფიქროთ ფასით. 35 თეთრი იყო დაფიქსირებული სამი წლის ვადით და თქვენ მერე შეეცალეთ პირობა. მე თქვენთვის პირობა არ შემეცვლია, ასეთი შეთანხმება არ ყოფილა-მეთქი. თხოვნააო. თუ თხოვნაა, გავიაროთ-თქო. 35 თეთრად ვერ მოგვიდით თუ რატომ, უკვე ვითხარით.


ერთადერთი გამოსავალი ისაა, მიწა გავყიდით იმ ფასად, რა ფასითაც ბანკში დევს. დღეს 55 თეთრია, მაგრამ ვინაიდან დოლარში დევს, ამიტომ ჩავლით ეს ყველაფერი ხელშეკრულებაში დოლარში-მეთქი. ლარი არ გვაქვს და დოლარი სადღან გვექნებაო. ვთქვა, როგორ გავაქვითო. დღეს თუ 55 თეთრი ათავისუფლებს ამ მიწას, დოლარის კურსი შეიძლება შეიცვალოს და 60 თეთრი გახდეს გადასახდელი, ვინ იქნება პასუხისმგებელი? ამიტომ სჯობს, რომ ასე გავაკეთოთ. მერე ვადაზე ვისაუბროთ, სამი წელი გამოვიცხვიათ, რესანმა თქვა ორი წელი. ესეც გამოვიცხვიათ-მეთქი. აბა, თქვენი პირობა, ამ წლის 1 სექტემბრამდე უნდა იყოს ფული გადახდილი-თქო. მაგის შესაძლებლობა არ გვაქვსო. მაშინ ორი თურქეთობა-მეთქი. მაისი-აგვისტო, მაისი-აგვისტო, 2016 წლის 1 სექტემბრამდე. არ დავთანხმდი, ტაპობრივად დაფიქრო-მეთქი.

სხვათა შორის, რომ იცოდეთ, ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებაზე ლევან ლუშაბისთან ვიყავი

დადატიყებული, ჩემი ღვინით უნდა მივსულიყავი და ის თავის ღვინოს დამხსენებოდა. ამ საუბარში ვუთხარი, ლევან ბატონო, აქამდე რაც მიწის გადასახდელია გადახდილი, იმას არ ვთხოვ, მაგრამ ხელშეკრულებაზე როდესაც ხელს მოაწერ და აქედან ორი წელი ეს მიწა შენი არ არის და უნდა ისარგებლო, იმ გადასახადს ვინ იხდის-მეთქი. როგორ, ბატონო ჩემო, მე ამ ორ წელიწადს მიწა უნდა ვისარგებლო და მიწის გადასახადიც მე უნდა გადავიხადო, ჩაწერე ხელშეკრულება-მეთქი, კი ბატონო.

მოუხვდავად იმისა, რომ ჩემთვის ეს არის მოუღებელი, გამომდინარე იქედან რომ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, ვარ თანახმა 2016 წლის 1 სექტემბრამდე გავაკეთოთ ეს. წლის ბოლომდე, არ გადაწვევ. ვეპყვით რატომ, 2016 წლის პირველი სექტემბრიდან მე ვიწვევ ძირის მომსახურებას, ავერ ახალი ფაბრიკა შენდება, ფაბრიკა გავაგრძობნებ, 87 ჰექტარი გამოვიყვანე, 110 ჰექტარს კიდევ გამოვიყვანე. თუ ვინმეს ჩანს პლანტაცია აქვს, გეუბნებით ხუი, შვიდ, ათწლიან ხელშეკრულებას გავფორმებთ, რომ მე ჩავიბარებ თქვენგან ფოთილს.

სანამ ლათიურელები არ დაგამყ-



ოფილდებთან, მანამდე უცხო პირები არ დავინახოთ აქო. მე თუ მიწა გავყიდე, იმ მიწაზე არაფის იყო და ისე გავყიდე, გამოვიცხვიათ იქ ლათიურელი კაცი იყოს მიწაზე და ის მიწა გავყიდო. ეს არის კატეგორიული პირობა, მაგრამ მეორე პირობა მაქვს. დღეს რაც არის მიტაცებული, მაგის იქეთ არაფის გავმოვიდეს, რადგან უნდა ვიციოდე, რა მიწას ვვლით, თუ მიტაცება გავრძელებოდა, მე იმ მიწებს აღარ გავყიდი-მეთქი. მაგას მე ვიღებ ჩემს თავზე, მე გავაკონტროლებო“.

მოკლედ, ამ ისტორიიდანაც კარგად ჩანს, რომ მანდელი ხელისუფლების მხრიდან დანაშაული თუ არა, დიდი შეცდომა იყო თავის დროზე, პრივატიზაციის პროცესში ამ მიწების ინვესტირებათვის გადაცემა და დაბის მოსახლეობის ფაქტობრივად უმძიოდ დატოვება. მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი შეცდომის თუ დანაშაულისათვის, პასუხისმგებლობას დღევანდელი ხელისუფლება ვერავრებით ვერავის აკისრებს და მას ამიტომ ეძახიან, რასაც ეძახიან.

დამთავრდება თუ არა მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმება 31 მაისამდე, არაფის იცის, რადგან, როგორც ჩვენთან საუბარში ლევან ლუშაბისკმ აღნიშნა, 3 მაისისთვის კვლავ აპირებდა აქციის გამართვას. მსგავსი აქციები კი მანამდე გავრძელებოდა, სანამ არ დაგამყოფილდება აქციის მონაწილეობა მიერ შეთავაზებული პირობები.

„ანტიგონე“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე



ალიონი. გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ჟან ანუის „ანტიგონეს“ პრემიერა გაიმართა. ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოვიძემ, რომელსაც არაერთი წარმატებული დადგმა აქვს განხორციელებული ოზურგეთის, ზუგდიდის და სხვა თეატრების სცენებზე, ამჯერად ძველი ბერძნული მითოსის გაცოცხლება შეძლო ოზურგეთის თეატრის სცენაზე.

გაზეთი „ალიონი“ ცალკე წერილს მიუძღვნის ამ სპექტაკლს, მაგრამ ამჯერად მოკლედ მიმოვიხილავთ, თუ ვინ რა წვლილი გაიღო წარმატებისთვის.

სპექტაკლის მხატვარია ვია გვიჩია, მუსიკალური გამფორმებელი გოგა მახარაძე, ხოლო ქერეოგრაფი მარიკა ქვეთაია. სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ თამარ მდინარაძე (ანტიგონე), ალექსანდრე ლომიძე (კრეონი), გიორგი დოლიძე (ჰემონი), შორენა გვეტაძე (ისმენე), ბელა კიკვაძე (დიდა), ზაირა თოთიბაძე (ევრიდიკე) და ა.შ.

ოზურგეთის თეატრის მცირე სცენაზე უკვე სამჯერ წარმოადგინეს „ანტიგონე“. სპექტაკლები ანშლავით მიდის და თეატრმცოდნეების მაღალ შეფასებას იმსახურებს.

„საკმიელამ“ მეორე მედალი მიიღო

ალიონი. წლებია გურული ვაზის უძველესი ჯიშების მოძიება-გავრცელებას ეწევა ა(ა)იპ „ოზურგეთის ფერმერული განვითარების ცენტრის“ სპეციალისტი ანდრო ვაშალომიძე.

19 წლის წინ დაიწყო ანდრომ ეს საქმიანობა. თავდაპირველად იგი ერთუბიანი, საგურამოს სანერგე მეურნეობის ხელმძღვანელების ხელშეწყობით ახერხებდა გურიაში მივიწყებული ჯიშების სამყენი მასალის მოძიებას და გამრავლებას. შემდეგ მას გვერდით დაუდგა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელი, ასკანელი ზურაბ ჩხაიძე და წელს გურიაში შემოიტანეს „ჩხავერის“, „საკმიელას“, „თეთრი კამურის“, „მტკვანდილის“, „ორონას“, „წითლანის“ და სხვა იშვიათი ჯიშების ათასობით ნერგი.

ანდრო ვაშალომიძე ხელმძღვანელობს ზურაბ ჩხაიძის მიერ შექმნილ „როიალ ასკანას“ და ფერმერებს შორის ვაზის ნერგების უსასყიდლოდ

გადაცემის პროცესს შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებით. ეს აქცია ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ხორციელდება.

ცალკე თემა ანდრო ვაშალომიძის მიერ იშვიათი ვაზის ჯიშებისგან მიღებული ღვინით ღვინის ფესტივალზე მიღწეული წარმატებები.

2011 წელს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ ორგანიზებულ ღვინის მე-4 ფესტივალზე, „საკმიელა“ ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

წარმატებული აღმოჩნდა „საკმიელასათვის“ 2015 წელიც. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის უკვე ტრადიციულ ფესტივალში საქართველოს ყველა კუთხის ოჯახურ პირობებში დამზადებული იშვიათი ღვინის ღვინოები იღებდა მონაწილეობას. წელს რიგით მე-7 ფესტივალში გაიმართა.

„საკმიელამ“ ამჟამადაც ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და ამჯერად ვერცხლის მედ-




ლით დაჯილდოვდა.

ანდროსეული „საკმიელა“ კიდევ ერთ ნომინაციაში გახდა გამარჯვებული. მას დიპლომი გადაეცა როგორც იშვიათი ვაზის ჯიშისაგან დამზადებულ ღვინოს.

ანდრო ვაშალომიძე: — მეუფე დიმიტრის მიერ ორგანიზებული ფესტივალი მივიწყებულ ენდემურ ჯიშებს წარმოაჩენს მთელ საქართველოში. ამ ფესტივალის დამსახურებაა, რომ წლიდან წლამდე უმჯობესდება ოჯახურ პირობებში დამზადებული ღვინის ხარისხი.

წელს, ბათუმში გამართულ ფესტივალზე ოჯახურ პირობებში დამზადებულმა „ცოლიკაურმა“ გაიმარჯვა. „საკმიელას“ ვერცხლის მეალი ერგო, ხოლო ბრინჯაოს ნომინანტი „კახუნა“ გახდა.

ქ. ბათუმში, ხელოვნების თეატრში გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. „საკმიელა“ იყო ამ ფესტივალის ერთადერთი ღვინო, რომელმაც ორ ნომინაციაში გაიმარჯვა.



„ზღაპრის კვირეული“ ბრძოლდება

ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში „ზღაპრის კვირეულის“ ფარგლებში მორიგი ღონისძიება ჩატარდა. ამჯერად პარკმა სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენას უმასპინძლა. წარმოდგენილი იყო მაკანაეთის, ციხისფერდის, გომის, დაბა ნარუჯის, ასოციაცია „გურია“, I, III, V საჯარო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრები. ღონისძიებაში ცამეტმა საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა.

გამოფენა ქალაქის მერმა, ვიცე-მერმა, მერის მოადგილემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა მონაწილეულეს.

გამარჯვებული სიგელითა და



პრიზით დააჯილდოვეს.

გამოფენასთან ერთად, ქალაქის მერმა ბევი სიორიძემ პარკის განახლებული ნაწილიც მონაწილეულა და

მომავალში დამატებით ჩასატარებელი საბუნებისა და საკვრიოების შესახებ ინფორმაცია პარკის დირექტორისგან მოისმინა.


იბი ამ ღვინო 75 წლისა გახდებოდა

1941 წელს, როცა დიდი სამშობლო ომი დაიწყო, ბაილეთელი ისაკი ზაქარიაძე სამშობლოს პირველ დაცხილზე ფრონტზე წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა... სახლში მან მუდღე, ქალბატონი გოგუცა და ერთი წლის შვილი, პატარა თამაზი დატოვა. ქალბატონმა გოგუცამ ყველაფერი გააკეთა შვილის ღირსეულად აღზრდისათვის, მიაღებინა უმაღლესი განათლება, დააოჯახა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაება.

თამაზიც კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით, ყოველ საშუალო დღეს ყოველთვის სახლით იწყებდა. ძალიან უყვარდა ბუნება, მაგრამ ბუნებამ და 1995 წელს, სწორედ ბუნების მიძინების დროს დაგეტოვა, ხელიდან გამოგვეკალა სიცოცხლით სავეე ვაჟაკი 54 წლისა, საიმელო მას და მეგობარი თამაზ ზაქარიაძე, ჩვენი სურთუნა (ასე ეძახდნენ მას). იგი მუდამ ჩვენთან იყო, მისთვის ჩვეული სიფიცხით გვესაუბრებოდა. მსჯელობდა ჩვენი ქვეყნის აკარგზე, იმ დროის დაძაბულ მოვლენებზე.

თამაზს დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სპეციალობით აგრონომი იყო და ძალიან უყვარდა თავისი პროფესია. მთელი თავისი ცხოვრება საფარულ საქმეს შეაღია. მუშაობდა ბრიგადირად, აგრონომად და როდესაც კოლმეურნობის მთავარი აგრონომი გახდა, ჩვეული მომთხოვნელობით განაგრძობდა საქმიანობას. იშვიათად თუ ნახავდით კაბინეტში, ყოველდღე მშრომლებთან იყო, მეგობრულად იზარებდა მათ ღირსსა და ღირსს.

შესანიშნავი ოჯახი დატოვა თამაზმა: დედა, ქალბატონი გოგუცა, რომელიც მასზე დარდს გადაყვა და გარდაიცვალა; მუდღე და 4 შვილი, სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ქალბატონმა ცირამ, რომელიც სოფელში აგრონომად მუშაობდა და ერთ პერიოდში საქართველოს



უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, ოთხივე შვილს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება მიაღებინა. უფროსი ქალიშვილი ორინა სპეციალობით ბუღალტერ-ეკონომისტი და ბუღალტრად მუშაობს მაკანეთის საჯარო სკოლაში.

მომდევნო ქალიშვილი ჟანა პედაგოგია და მათემატიკას ასწავლის ბაილეთის საჯარო სკოლაში, მომდევნოები თამარი და ირაკლი მცირე საოჯახო ბიზნესით არიან დაკავებული. ყველა მათგანი დაოჯახებულია და ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში.

ჩვენ, ბატონი თამაზის მეგობრები, ნათესავები, ახლობლები, მის ოჯახთან ერთად, ყოველთვის სიფარულით ვგონებთ ამ დიდბუნებოვან კაცს, რომლის უღრიოდ გარდაცვალებამ მარტო თავისი ოჯახის დანაკლისი არ არის, მისი სახით ჩვენს სოფელს გამოაკლდა მომავლისათვის დაუღალავი მუშაობელი და კარგი მოქალაქე, სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

იგი ამ დღეებში 75 წლის გახდებოდა.

ამირან მაყულიაშვილი,
სწავლული აგრონომი ჟურნალისტი.

დისკუსია კალაღობის თემაზე



1 მაისს, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის საპრეზენტაციო დარბაზში გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე: ძალადობა ოჯახში. მიმდინარე სასწავლო წელი ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა გენდერის

წლად გამოაცხადა და სწორედ ამას მიეძღვნა აღნიშნული თამაში. საჯარო დისკუსიის მიზანი თემის პოპულარიზაცია იყო. დებატები გაიმართა ინგლისურ ენაზე და მასში მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი მოხალისეები.

თამაში დაძაბულ და საინტერესო გარემოში წარიმართა, აუდიტორიას საშუალება მიეცა თავისი აზრი გამოეთქვა. ორივე გუნდმა დამაჯერებლად წარმოადგინა თავისი პოზიცია.

„მერცხალი“ ფინიშხე ლიგაში დარჩენისათვის იბრძვის

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის („მ“ ჯგუფი) გუნდებს შორის ლიგაში დარჩენაზე რამდენიმე გუნდი იბრძვის. სობის „კოლხეთი“, წალკის „სკური“, ალავეთის „მერცხალი“ ერთად იბრძვიან სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად.

წინა ტურში „მერცხალს“ გასვლითი შეხვედრა ჰქონდა ხობში „კოლხეთთან“. ეს მნიშვნელოვანი მატი ფრედ- 2:2 დამთავრდა. დღეს „მერცხალი“ უშუალო კონკურენტს „ალვეთს“ უმასპინძლებს.

ბათამაშუბის ცხრილი

| | | | | | | | | |
|-----------|----|----|----|----|----|----|-----|----|
| საპოვნელი | 32 | 21 | 8 | 3 | 59 | 23 | 36 | 71 |
| გაბრა | 32 | 14 | 5 | 13 | 57 | 41 | 16 | 47 |
| ბელაში | 31 | 13 | 7 | 11 | 47 | 43 | 4 | 46 |
| ბორჯომი | 32 | 13 | 6 | 13 | 34 | 40 | -6 | 45 |
| მეშახტი | 32 | 12 | 4 | 16 | 49 | 50 | -1 | 40 |
| კოლხეთი B | 32 | 10 | 10 | 12 | 40 | 43 | -3 | 40 |
| მერცხალი | 32 | 10 | 9 | 13 | 42 | 66 | -24 | 39 |
| სკური | 32 | 9 | 12 | 11 | 41 | 50 | -9 | 39 |
| ალავეთი | 31 | 9 | 11 | 11 | 38 | 37 | 1 | 38 |
| დინამო -2 | 32 | 9 | 6 | 17 | 42 | 56 | -14 | 33 |

მორიბი კონკურსი მუნიციპალიტეტში



გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მესამე, გასაუბრების ეტაპი გაიმართა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს აპარატში 24 ვაკანტური ადგილის

დასაკავებლად ტესტირების ეტაპზე მინიმალური ზღვარი სულ 135-მა აპლიკანტმა გადალახა, აქედან გამგეობაში - 103-მა, ხოლო საკრებულოში - 32. გასაუბრების შედეგები აპლიკანტებს მუნიციპალიტეტმა 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს.

თამუნა ცეცხლაძე შავი ქაშის მფლობელია

ალიონი. ოზურგეთელთაგან თამუნა ცეცხლაძე პირველი ქალი კარატისტია, რომელიც „კარატე-დო“-ში ყველა-10 ქაშის მფლობელია და ახლახან საქართველოს „კარატე-დო“-ს ფედერაციამ შავი ქაში გარდასცა.

თამუნა 8 წლის ასაკიდან ეუფლებოდა აღმოსავლური ორთაბრძოლის ხელოვნებას. იგი ქ. ლანჩხუთში, გურიის კარატეს ფედერაციის სკოლაში ვარჯიშობდა (მწვრთნელი მერაბ თურქია).

წლების მანძილზე იგი იყო საქართველოს მრავალჯგუფის ჩემპიონი, არაერთ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული და კავკასიის 4-გზის ჩემპიონი.

თამუნა მაკანეთის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა.



როგორც ჩვენთან საუბარში თქვა, საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში აპირებს სწავლის

გაგრძელებას. — მინდა ჩემს სამშობლოს ვემსახურო—განაცხადა მან.

ბაქოში, სამრთაშორისო ტურნირში

ალიონი. ქ. ბაქოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის (მონაწილეობდა 15 ქვეყანა) საქართველოდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტული სექციების მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ:

ჭაბუკებში: 69 კგ. მე-2 ადგილი

დაიკავა ვაჟა გოთუამ; 54,85, 100 კგ.-ში რომიკო ლომაძემ, რომიზონ დეისაძემ, საბა ცეცხლაძემ.

ახალგაზრდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ლიხაურის საჭიდაო სკოლის აღზრდილმა, ამჟამად ქ. ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ლევან ქაჯარაძემ.

საქართველოს პირველობაზე

ალიონი. ქ. თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოზურგეთელებმა დავით ჩხარტიშვილმა, ზურაბ ცინცაძემ, ბექა როყვამ, ბექა ჩოფლიანმა ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

სამაღლობელი

ქალაქ ოზურგეთის მერს, ბატონ ბეგლარ სიორიძეს, ვიცე-მერს, ბატონ ალექო ბურჭულაძეს, მერის მოადგილეს, ბატონ კობა ღუნდუას, სოციალური განყოფილების უფროსს, ქალბატონ თამარ ღუმბაძეს უდიდეს მადლობას გიხდით ჩვენი მდგომარეობის გათვალისწინებისა და თანადგომისათვის.

თქვენ სიყვარულით ზრუნავთ თითოეულ ადამიანზე. ამის ნათელი მაგალითი უამრავჯერ გვინახავს საკუთარი თვალით, მოგვისმენია საკუთარი ყურით კმაყოფილი მოქალაქეებისაგან.

კვლავაც უამრავი ჯანმრთელი წელი გელავნოთ ჩვენი ქალაქისა და თითოეული ჩვენგანის უკეთესი ზვალინდელი დღისათვის. პატივისცემით,

ირმა და მკატარინე ჭიჭილაძე, გულნარა ვადაძე

განცხადება
 იყიდება ძალაქ ოზურგეთში ბრიკოვდოვის ქუჩა № 21-ში სამოთახიანი ბინა (84 კვ. მ) №1.
 ფასი 15 000 ლოლარი.
 ტელ. 599 58 75 32

ოზურგეთელები მე-3 ადგილზე

ალიონი. ერთ კვირას მიმდინარეობდა ოზურგეთის სპორტის სასახლეში საქართველოს პირველობა ინდორპოკეში 1998-2000 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის. ტურნირში 6 გუნდი მონაწილეობდა. ოზურგეთელებმა 4 შეხვედრა გამართეს. დაამარცხეს თბილისის, აბაშის გუნდები, ფრე ითამაშეს ლანჩხუთელებთან, ერთი შეხვედრა წააგეს ქუთაისის ძლიერ გუნდთან და 13 ქულით მე-3 ადგილი დაიკავეს, (მწვრთნელი რევაზ ლომაძე).

ოზურგეთელი ჯარისკაცები

ანტონ ღუმბაძე და მისი შვილები



მსოფლიოში ღუმბაძე ერთადერთი ქართული გვარია, ქართული ოჯახია შემოქმედდანი, რომელმაც 5 გენერალი, ერთი პოლკოვნიკი და ერთი მღვდელი გაუზარდა სამშობლოს. ნიკოლოზი, იოსები, ივანე, სამსონი, მიხეილი გენერ-

ლები გახდნენ, მელიტონმა მიაღწია პოლკოვნიკის ჩინს, მეშვიდე, დავითი კი მღვდელი იყო.

თვითონ ანტონი მსახურობდა კავკასიის არმიის კავალერიაში. ბენსიაში გასვლის შემდეგ ცხოვრობდა

გორში, სადაც გარდაიცვალა 103 წლის ასაკში.

ივანე ღუმბაძე. ანტონ ღუმბაძის შვილიაგან ყველაზე პოპულარული და გავლენიანი ძმებს შორის ივანე იყო. იგი ყირიმს განაგებდა 10 წელი. იყო იალტის გუბერნატორი, მთელ რუსეთში იცნობდნენ, როგორც უმკაცრეს და უპატიოსნეს მმართველს. რუსეთის დემის წარმომადგენლები იალტაში ჩასვლისას ივანე ღუმბაძის შიშით წესრიგსა და კანონს ემორჩილებოდნენ. მას არაერთი წესრიგის დამრღვევი რუსი გენერალი და თავადი გაუძევებია იალტიდან.

ივანე ძალიან დაახლოებული ყოფილა იმპერატორის ოჯახთან. როგორც მაშინდელი რუსული საინფორმაციო წყაროები ირწმუნებიან, ნიკოლოზ II მხოლოდ ივანეს ანდობდა საკუთარი შვილების სიცოცხლესა და უსაფრთხოებას. ხშირად იწვევდა სასახლეში და რჩევას კითხებოდა. ივანეზე განაწყნებული უწესრიგო რუსი დიდგვაროვნები ხშირად ჩიოდნენ

თურმე იმპერატორთან, რომელიც მომჩივანთ ერთსა და იმავეს პასუხობდა — ივანემ უკეთ იცის ყველაფერი.

სამსონ ღუმბაძე — გენერალ-მაიორი. დაიბადა 1866 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში, პირველ მსოფლიო ომში. დაამთავრა საინჟინრო აკადემია. 1902 წლიდან ომსკის სამხედრო ოლქის მთავარი ინჟინერია. გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს 1915 წელს. დაპატიმრებული იყო 8 წლის განმავლობაში, სასჯელს იხდიდა ბუტირკის ციხეში, მოსკოვში. გარდაიცვალა 1938 წელს გორში.

ისონ ღუმბაძე — გენერალ-მაიორი. დაიბადა 1865 წლის 3 იანვარს. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში. ვლადივასტოკის ციხე-სიმაგრის პირველი საარტილერიო ბრიგადის მეთაური იყო. 1914 წელს მიანიჭეს გენერალ-მაიორის წოდება. გარდაიცვალა 1916 წლის შემდეგ.

ნიკოლოზ ღუმბაძე — გენერალ-მაიორი. დაიბადა 1854 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. ასევე მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იყო მიხეილის (ბათუმის) ციხე-სიმაგრის არტილერიის ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკის ჩინი მიანიჭეს 1896 წელს. მესამე გრენადერთა დივიზიის I ბრიგადის მეთაური იყო 1911 წლიდან. გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს 1906 წელს, გარდაიცვალა 1914 წელს.

მიხეილ ღუმბაძე — გენერალ-მაიორი. დაიბადა 1888 წელს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მსახურობდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა სამხედრო ოლქებში. გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს 1913 წელს.

მანანა ლომაძე, ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო ჯონ ბალზინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



ისააკ ნიუტონი (1642-1727).

ისააკ ნიუტონმა ცხოვრების მანძილზე იმდენი წიგნი და ვრცელი სტატია დაწერა და იმდენად დიდი გავლენა მოახდინა მთელი სამი საუკუნის განვითარებაზე, რომ ის აღიარებული იქნა ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდ მეცნიერად. ისააკ ნიუტონი წერდა: „მე იმდენი ვხედავდი სხვებზე შორს, რომ გოლიათის მხრებზე ვიდებო“. მასვე ეკუთვნის კანონი გრავიტაციის შესახებ, რომელიც შემდეგში მდებარეობს: „ყველა სავანი ერთმანეთს იზიდავს მათი მასის ძალით, მაგრამ მიზიდულობა მცირდება მანძილის შემცირებასთან ერთად, ანუ უკუპროპორციულია მანძილის კვადრატისა. ეს უნივერ-

სალური პრინციპი თანაბრად გამოიყენება, როგორც ორი მცირე ნაწილაკის, ასევე მზისა და სხვა პლანეტების ურთიერთქმედებაში. ნიუტონმა ამ კანონით შეძლო აეხსნა კეპლერის ელიპტიკური ორბიტის იდეა. ნიუტონის დაფინდებამ და ფიზიკური მოვლენების მათემატიკურმა გამოხატვამ განსაზღვრა თანამედროვე ფიზიკის სტანდარტი.

ელფუნდ კალეი (1656-1742).

ჰალე უნდა გვახსოვდეს ბევრად მეტი მიღწევების გამო, ვიდრე ერთი „კოსმოსური ბუშქრანგის“ აღმოჩენით. ეს კომეტა უკან ბრუნდება 76-წლიანი ინტერვალით. ყოველივე ეს ჰალეიმ გამოთვალა და მართლაც კომეტა უკან დაბრუნდა მისი სიკვდილიდან 16 წლის შემდეგ. ჰალეის კომეტა ცაზე 2062 წელს დაბრუნდება.

1679 წელს მისი გამოცემული „სამხრეთის ვარსკვლავების კატალოგი“ გახდა არა მარტო სამხრეთის ცის პირველი ზუსტი ასახვა რუკაზე, არამედ ვარსკვლავების პირველი მნიშვნელოვანი ტელესკოპური გამოკვლევა.

ჰალეი ითვლება გეოფიზიკის დამფუძნებლად. მან რუკების გამოცემა დაიწყო 1686 წელს, სადაც აღნიშნული იყო



დედამიწაზე ქარების მიმართულება. შექმნა დეტალური რუკები დინებებისა და მეტეორული ცვლილებები შესახებ. ამ ადამიანის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ატომის ზომა, ცისარტყელის ოპტიკა და ჩასაყვინთი მოწყობილობის პროექტი.

1687 წელს ჰალეიმ საკუთარი თანხებით დააფინანსა ნიუტონის შრომები, რაც სამეფო საზოგადოებამ ვერ შეძლო.

ჰალეი რომ არ ყოფილიყო, ვერც ნიუტონი იქნებოდა იმ სიმაღლეზე და იმ ფორმით, როგორც მას იცნობს კაცობრიობა.

მოამზადა **გურამ ცერცვაძემ** (გაგრძელება იქნება)

ბურული მახვილსიტყვაობა

კოშხნისთაბი არ იყვანე მართალი!

ერთხელ, დღევანდელი ცხოვრებისეული პრობლემების და მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუსაძლისი სიღატაკეზე რომ ესაუბრობდით, თამაზ გობრონიძემ საზვასმით აღნიშნა, კომუნისტები არ იყვნენ მართალი და სასტიკად ცდებოდნენ.

როცა ვკითხეთ, რატომო, ასე გვიპასუხა:

– რატომ და კაპიტალიზმს თურმე იმ დონეზე არ ლანდუდნენ, რაც ფაქტურად ყოფილა **ნამეტანი ბინძური ტანი ბაქონია**

ერთხელ, მეგრულმა ამხანაგმა, საოჯახო საკითხებზე საუბრისას, გურულს ჰკითხა:

- კვირაში რამდენჯერ ბანაობ?
- ორჯერ, ხანდასან სამჯერაც.
- რას ამბობ, ბიჭო, არ გრცხვენია? მე ყოველდღე ვბანაობ!
- ნამეტანი ბინძური ტანი გქონია, ძამს! – ორინოულად უთხრა გურულმა.

რატომ ამჟს მანძანას ოთხი ბორბალი?

გურული საკუთარი ავტობიომბლით, ოჯახის წევრებთან ერთად, სამეგრელოში მიდიოდა ნათესავის დაკრძალვაზე, წაღწევის რაიონში რომ შეეცადა, ავტობინსექტორებს თურმე რეიდი ჰქონდათ და ყოველ ნახევარ კილომეტრში აჩერებდნენ.

იმდენჯერ განმეორდა ეს თავმომბეზრებელი პროცესი, რომ „გაკუჭდა“ გურული და ინსექტორს შეუბღვირა:

- რაია, ძამს, ყველა ნახევრზე რეიზა მჩერებთ, მეტი საჭე არ გაქვენ?
- გაკვირებულმა ინსექტორებმა ვერ ერთმანეთს გადახედეს, რას გვიბედავსო, მერე ერთმა გურულს ჰკითხა:
- მოვრალი ხომ არ ხარ შენ?!
- ნახვამ არ ვარ, მარა, რომც ვყო, რა მოხდა მერე? – ორინოულად ჰკითხა გურულმა.
- დაჯ! რას ამბობს აჯი? – ჰკითხა ერთმა ინსექტორმა მეორეს.
- გურულმა ხმას აუწია და იკითხა:
- იცით თქვენ, რატომ აქვს მანქანას ოთხი ბორბალი?
- რატომ? – იკითხა გაოგნებულმა ინსექტორმა.
- იმტომ, რომ კაცი როცა დათერება და ორი ფეხით საარულს ვეღარ შეძლებს, მანქანით ივლის თავისუფლად.

ინსექტორებმა გულანად გაიცინეს, სათანადო აპარატურით ორგანიზმში აღკოპოლის ყოფნა-არყოფნა გაუსინჯეს გურულს, მოწიწებით ბიდიში მოუსადეს და გაუმეცს.

როლანდ თაბაძე

სკანვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|--|--------------------|-------------------------------|-----------------------------|--|----------------------|---------|----------|---------|--|------------------|-----------------|--|------|------------------|-------------------------------|----------------------|-----------------------------|-------------------|--|--|------------|--------------------|--|--|--|---------------|-----------------------|--|
| | | | | | | | | | | | | | | | აუცილებელი დარტყმის მოგერიება | ფუტკრის ოჯახი | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | მეფის საკუთრება | კაცის ინგლისური წამოსასხამი | სისხლის აღება | | | | | | | | ქალაქი რაჭაში | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | ქალის საცხენოსნო კაბა | |
| | | | | | | | | | | | | | | | | ისლანდიის დედაქალაქი | | | | | | | | | | | ქალის სახელი | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | კეთილი უბანი თბილისში | მინერალური სასუქი | | | და იბატონე | მსახიობი ფრინვლისი | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | უძველესი სამკურნალო მცენარე | | | | | | | | | | | |
| | | | „მუმუს“ პერსონაჟი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | სხვის ბუდეში კვერცხის მღებელი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ქართული ფული | | რბილი ფეხსაცმელი | | | ღვაწილი | იუდას ხე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | ფრინველების წრიული ფრენა | | | | | | | შეძახილი ცეკვაში | | | გობი | | | | | | | | | | | | | | | |
| | „იზას“ ავტორი | | ქათმების მუსრის გამვლები | | კბილის რქოვანი გარსი | | | | | | ქალაქი თურქეთში | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | აგვენილი | | მდინარე რუსეთში | | | | | | | | რიცხვი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | მგალობელი ფრინველი | | „ღვინის ქურდების“ პერსონაჟი | | გაბაფხულის ყვავილი | | | ციტრუსი | | | სარკინოზი | | | მდინარე ციმბირში | | | | | | | | | | | | | | |

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ალბერტო მორავია; ხეხილი – ალუბალი; მგალობელი ფრინველი – ბულბული; ქართული გაზეთი – ალია; სტიქია – ხანძარი; განთიადი – აისი; მხედველობის ორგანო – თვალი; ძვირფასი მინა – ბროლი; პორტუგალიის დედაქალაქი – ლისაბონი; ძროხის ნაშიერი – ხბო; ბელურასნარი ფრინველი – ასპუკაჭა; ნაბიჯი ცეკვაში – პა; აზიური სახელმწიფო – ტაილანდი; ნამცხვრის ატრიბუტი – ვანილი; დუჭი – ღორბლი; მოსასხამი – მანტია; ... კუზანოვი – ივა; კრაზანას ავტორი – ვინიჩი; ინდური ფილმი – აკარა; საბაღოს ნედლეული – მაღანი; ერთგვარი ქუდი – პანამა; ხილის ტკბილეული – შურაბა; ქვეყანა ვეროპაში – ალბანეთი; კივის ვიში – ჰაიგარდი; „კუზალი“ ქართულად – ძარა; ... – იკარ; ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში – ბოლივია; მეფის თანმშლები – ამალა; ტარაბუა – რეტი; მდებარე მოვატრე – ჩარჩი; კავშირი – და; რკინის ზრახნიანი ნაწილი – ჭანჭიკი; თურქეთის დედაქალაქი – ანკარა; კედლის სანათი – ბრა.

გურული ფირალის ცხოვრებიდან

მელაპრობა ავაზაკებისა და კომიტეტისა

დასაწყისი ალიონი №13,14,16,17)

ენვერ გოგუაძე

გურულ მარქსისტთა მესვეურებმა ჯერ ტერორს - კომიტეტს ჩაუყარეს საფუძველი, თავიანთ რიგებში გაერთიანეს ყოფილი ყაზალები და კაცის მკვლელები. დათესეს ქვეყნად დაუოკებელი შიში სიკვდილისა. რევოლუციით აღმოებულ გურიაში, მამინ ყოველ კაცს ენახებოდა „ახალითაობა“ სოციალ დემოკრატიის, „ავიტაცია“, „პროპაგანდა“, „კომიტეტი“. კომიტეტი ხალხს რაღაც ჯადოსნურ მანქანად მიაჩნდა. ჯოჯოხეთის ხსენება და კომიტეტისა ხალხისათვის ერთი და იგივე შეიქმნა. მარტოოდნ მის ხსენებაზედაც კი შიშით ჟრუანტელი უღლიდა ტანში, საკაო იყო ვიშნისთვის გოჭკვა კომიტეტში დაგასმენო, რომ მამინვე მუხლოდრეკით შეგვეწვეოდა: ოღონდ კომიტეტს ჩემს ამბავს ნუ გააგებინებ და სულს აქეთ რაც მაბადა, შენ მოგეცეო. ხალხის ეს გაუგებრობა-შიში და ძრწოლვა კარგად გამოიყენეს კომიტეტის წარმომდგენლებმა, ტერორისტებმა და ასისთავებმა თავის სასარგებლოდ, მოუხებნეს რა სუსტი მხარე თავიანთი ქვეშევრდომებზე დაუწყეს მათი ნელ-ნელა ცინცვლა მარცხა, თავიანთი ინტერესების არეაში მოქცევა. ხალხის გაყვლეფაში, მოდრეკასა და მორჩილებაში მოყვანის საქმეში უმთავრესი როლის შევსავეწული მუშტი შეადგენდა. კომიტეტის დასტურით მოძრაობის ავანსცენაზე დადგა ახალითაობის შეარაღებული ძალა, აქტიურად მოქმედი მიიერიში ძალები: „მაუზერისტები“, „წითელრაზმელები“, „ბომბისტები“. ამ იარაღიანმა ხალხმა: ტერორისტ-რაზმელებმა უფრო გააჭირრეს საქმე: იფნენ ბატონი ექვნი შეტყებლინი ტყვია-პატრონებით, ზარბაზნის გარდა ყველაფერი იარაღი ტანზე ეკიდათ, ისე შედიდურად დაბრანდებოდნენ სოფლიდან სოფლად, რომ სალაშის მიცემასაც ვერ გაუბედავდა კაცი. იფნი ზარმაცები შეიქმნენ უფრო მშვიდობიან ხალხს ეცემოდნენ თავზე დღე და ღამე, ართმედნენ ოფლით მოპოვებულ ორიოდ გროშებს. 1904 წლის ნოემბრით დათარიღებულ ვანდარბთა როტმისტროიანოვის პატაკის თანახმად გურიის კომიტეტი ნამდვილი ჯოჯოხეთის შესატყვისი კაცისმკვლელობა ორენი 1901-1902 წლებში ჩამოყალიბდა ბათუმის კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. როგორც ბათუმის, ასევე გურიის კომიტეტში უმთავრესსა და წარმართულ როლს გურულები ასახიერებდნენ. მათ თავიანთი აქტიური ზემოქმედების შედეგად კომიტეტის ინტერესებს დაუქვემდებარეს რევოლუციურად გაწყობილი ახალგაზრდობა და წამყვან პროპაგანდისტებად აქციეს ისინი. შეადწინეს და მკვიდრი ნადაგი გაიდევს ფაბრიკა-ქარხნებში. დასაქმებულ მუშათა შორის გაარეგოლუციონერეს გლეხთა მასები. ყოველ სოფელში ჩამოყალიბეს და დაეფუნეს თავიანთი ორგანიზაციები. სისტემატურად მართავენ სხდომებს, მიტინგებს, კრებებს, იმართება ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, მიხნად ისახვენ ტერორისტული აქტების საშუალებით შემამულეთა და თავდაზნაურთა ემიკვიდრებას, ძირფესვიანად ამოძრკვას და ფიზიკურად განადგურებას. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა ექიმები, ფერმლეები, უმაღლესი და საშუალო სკოლის მოსწავლეები, მწერლები, ინტელექციის წარმომდგენლები გურიის კომიტეტს გააჩნია საკუთარი სასტამბო მოწყობილობა, რომელიც ურთულესი ადგილობრივი რელიეფის გამო თითქმის მიუწვდომელია და შეუქმნველი კვალა ჩვენთვის. კომიტეტი ავრცელებს ანალოგურ გამოცემებს, როგორც სათანადო ავტორული მონაცემები ცხადიფიფს, გურიის კომიტეტის ადგილობრივი კლავი ბათუმი. ზემოხსენებული საბჭოდი მოწყობილობა გურიის კომიტეტს ჭიათურის შავი ქვის ორგანიზაციამ გადმოსცა. იგი ერთხანს ოზურგეთის რაიონის სოფელ უჩხუბში ინახებოდა ნიკოლოზ ვოგოლტიშვილის ოჯახში. თვით ნიკოლოზი

ადმინისტრაციის მხრივ შექმნილი კაცი იყო, მის ოჯახში ხშირად ტარდებოდა „ობისკები“ რის გამოც გურიის კომიტეტის მოძრაე სტამბა ქრისტეფორე კალანდარიშვილმა და კოწია მახარაძემ გადაიტანეს სოფელ გოშში. მოწინავე წითელრაზმელებმა „ბომბისტებმა“ და მაუზერისტებმა გომის უდაბურ ტყეში გამოინახეს ერთი (უდაბური ტყე). მოვალი კლდე გამოპკაფეს იგი და კლდის წიაღში გააკეთეს რამდენიმე (საიდუმლო ოთახი) და შოგ დაბინავეს პროკლამაციების საბჭოდი ეშმაკის მანქანა, ამავე კლდის საწყობში ელაგა დიდძალი ასაფეთქებელი მასალა და თვითნაკეთი „მაკედონური“ სისტემის ბომბები. ერთ დღეს სოფელ გომის მცხოვრებმა, ივლიანე გვიგინიშვილმა „მოძრაე სტამბის“ არეაში მდებარე კლდე ერთი მონაკვეთი საყარელო-ისათვის. მაგრამ ამ „გაუთვალისწინებელმა“ საშუალებამ კინაღამ გადაიყოლა გამრევე გლეხი. ნაკვირ ტყე ივლიანე ტიპოგრაფიისა და ბომბების ადგილობრივად გამოქვაბულში შეიტანა და ცეცხლი წაუკვდა. აქამდე უცნობი და შეუქმნველი გამოქვაბული ნამდვილ „ღამის ასაპრეზად“ იქცა. კედლების გასურება ამ აფეთქებროგორც თვითნაკეთი ბომბები ასევე ეშმაკის ტიპოგრაფია“, დაინერა ვულდავულ გამოკვეთილი გამოქვაბული, უზარმაზარი კლდე მიწას განერთხო. გულგახეთქილი ივლიანე თავფეხშიშველი გაგარდა ნანახით გაოგნებული და განცვიფრებული თემში და ხალხს გომის ტყეში მომხდარი სამინებლა აუწყა. გაოგნებული გლეხები ივლიანესთან ერთად პირველის წერას მოპყენენ. ეშმაკის ტიპოგრაფიამ კინაღამ საქმეი საუშაქონი“ დავეკარა“. გომის ტყე იმაყამდ სომეს დიდგაჭარ კუჩინანოვს ჰქონდა ნაყიდი გურულების-ავან, კუჩინანოვამ დაატერორა ტყე“, ტყის მცველნი როგორც ადგილობრიფნი და მეტად არასამიზონი ყველანი დათხოვა და მათ ნაცვლად „აბიშკობა“. მისთვის სანდო ვიდაც „პენსიანს“ მუშობა, რომლის შიშითაც გომის ტყეში უნებართვოდ გადაფერნა ჩიტსაც ადარ შექელი გურიის კომიტეტის დავალებით ცნობილი მაუზერისტს „ტყის ძმებს და დავვლა კოწია ესეს ძე მახარაძის მეთაურობით. მახარაძის კაცებმა ცეპით მასიკვდილეს გომში ჩამოსახლებული სპარსელი, რის შემდგომაც ადარც პენსიანსა და ადარც სომესს კუჩინანოვს გომის ტყეში ფეხი ადარ დაუდგამს. გარდა ზემოხსენებული „გომის სტამბისა“, საიდუმლო არაღეგალური სტამბა არსებობდა ასკანა-მთისპირის მიდამოებში. გამოცდილი შესტამბენი: სევასტი და დარეკო დიდი გულმოდგინებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ კომიტეტის მოვალეობას. ვანდარბთა როტმისტროიანოვი რომლის სამოქმედო საჭეთაფურეო ზონასაც ოზურგეთის მახრა წარმოადგენდა ზედმიწევნითი სიხუსტით ავროვება ავტორულ მონაცემებს მხარეში მოქმედ რევოლუციონერებზე, მათ უმთავრეს ორგანოზე-კომიტეტზე და კომიტეტის ნების ადმინისტრაციულ ტერორისტებზე. 1903 წლის 9 მარტს გურიის მოსახრებლად მოვლინებულ აღიხანოვ-ავარიელის თავის დიდი „წინს ნაღვაწის“ იგი სრულიად საიდუმლოდ მოახსენებდა: „მოცემული ავტორული მონაცემების თანახმად, გურიაში ამაყამდ მოქმედებს საიდუმლო ატაკტეფეთი-მხარის ადმინისტრაციული მმართველობის ანალოგური ორგანიზაცია, რომელიც მმართველობის უმაღლესი საფეხურის წარმომადგენს „სათაბირო“, იგი შედგება თითოეული სოფლის ყოველი ათი კომლისაგან. შემდგომი ტერიტორიული ერთეულებია ანალოგურ საფუძველზე ჩამოყალიბებული „სასისთავოები“ და „სათასისთავოები“ სათავეში უდგანან „ათასისთავები“, ასისთავები“. რამდენიმე სასისთავო შეადგენს „რაიონულ ორგანიზაციას“, რომელსაც ხელმძღვანელობს რაიონული წარმომადგენელი. მხარეში არსებობს ზემოხსენებულ საიდუმ-

ლო ორგანიზაციებთან არსებული განსაკუთრებული სასამართლო, რომელიც მოქმედებს რევოლუციონერთა ნებასურვილის საფუძველზე. მასში უმთავრეს როლს ასრულებენ ლიბერალურად განწყობილი თავდა-ზნაურთა წარმომადგენლები, სასიკვდილო ჟრფოლვა მოგვირინი ტერორისტთა მოსალოდნელი შიშით. ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ათისთავოთაგან თუ ასისთავოთაგან აქტიური საქმიანობით გამოირჩევიან: 1. მანასე ჩხაიძე - სოფელ ხრიალეთის მკვიდრი მიქელ გაბრიელის საზოგადოებრივ, დაუფლებულია ხელოსნობის სპეციალობას „ხელზე ასდის“ ცეცხლსასროლი იარაღის გაკეთება. 2. ლუკა მეგრელაძე - ამავე საზოგადოების სოფელ გაკედან: ცნობილი მკვლელი, თავზეხელაღებული ტერორისტი. 3. ეგორ ბოლქვაძე - სოფელ მიქელ გაბრიელიდან. იგი მუდმივად იმყოფება სადგურ ნატანებში. კრებს ავტორულ ცნობებს. იქვე აქვს განსნილი ტრაქტორი, სადაც თავს იფრის მასთან დაახლოებული პოლიტეკურად შექმნულები. ამაყამდ აშუაგებს თითქოსდა მიქელ-გაბრიელის საზოგადოების გლეხობის მიერ „შედგნილ პეტციას“ რათა გურიაში ჩამოსვლისთანავე მართავს იგი გურიის გლეხთა მდგომარეობის შესასწავლად. უმაღლესი ხელისუფლების მიერ წარმოგზავნილ უმაღლესი საბჭოს წევრს სულთან ერიმ გიორგის. 4. გრიგორი ბოლქვაძე - აზნაური, დაქორწინებულია ვინმე გლეხ კუჭაყმანის ასულზე. იგი ყველაზე ახლოსაა დასახლებული სადგურ ნატანების სამოსვლო პუნქტთან. მის სახლის მახლობლად მიმდინარეობს ანალოგური შეკრებები მოაფრობის საწინააღმდეგო გამოსვლებით შეძრულია მიუღი მახრა. განსაკუთრებით გამოირჩევა ბენია ჩხიკვიშვილი, რომლის დაქვემდებარებაშია ფაქტურად ქლაქი ბათუმი. მიმდინარე წლის 20 თებერვალს იგი სიტყვით გამოვიდა სომხური ეკლესიის მახლობლად მოწვეულ მასიურ კრებაზე. მოუწოდებდა მოსახლეობას: „ძირს თვითმპყრობელობა“. ამაყამდ მიუღი გურიის მოსხლეობა მასიურადა შეარაღებული ცეცხლსასროლის იარაღით: რევორეგით,



ის მირ საგაფიცო მადრაობებში მონაწილეობის გამო მათი სამუშაოდან დათხოვნის შემდგომ ხსენებული ქარხნის მუშები დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებს და თან მოიტანეს თავიანთი „ბუნტარული“ განწყობილება. ამას ზედ დაერთო სოფლებში თვალსაჩინო და გამოცდილი პროპაგანდისტების მოვლინება, რომლებმაც ააღივლეს მძფერი საფიტაციო მოძრაობანი გამოსვლებით ააღივლეს ისედაც ააღივლებული სოფლის მოსახლეობა. მათგან დაფასხლებ რამდენიმე: 1. ლუარსაბ ქაღიშვილი - „მთის“ ქარხნის ყოფილი მუშა, მოავარი ავტორი და ძლიერ გამოჩრეული პიროვნება მეამბოხეთა შორის. 2. მელიტონ მეჭაბიშვილი - ცხოვრობს ბათუმში. ერთ-ერთი უმთავრესი

ავიტატორი და აღიარებული ტერორისტი. 3. ბესარიონ ჯავმა - ასევე ავიტატორი და ტერორისტი. 4. ვანო ჯავმა - სრული ანალოგია ბესარიონ ჯავმასა 5. იესიხი ჯაველი - „მთის“ ქარხნის მუშა, ტერორისტი და პროპაგანდისტი. 6. რაფიელ ბოლქვაძე - ტერორისტი და პროპაგანდისტი. 7. ვასილ ხომერიკი - ტერორისტი და პროპაგანდისტი. 8. ვინმე ფუნტი - აზნაურ ფუნტის შვილი, „მთის“ ქარხნის მუშა, აღიარებული პროპაგანდისტი და ტერორისტი, ამ მხრივ დიდად გამოირჩევა თავისი პროფესიული დინით ზემოხსენებულ პიროვნებებთან. 9. ბებერ სიმონიშვილი - მანთაშევის ქარხნის მუშა, პროპაგანდისტი.

ხსოვნა
კორნელი სიამაშვილის ბახსენება



თიხის ქარხანაში განაგრძო. ჯერ ცეკვიშვილის ტექნიკები, შემდეგ თბილისის აგარული ინსტიტუტი დაამთავრა და სოფლის მეურნეობის დამზადების სისტემაში მუშაობდა წლების მანძილზე. ყველა გამოირჩეოდა პიროვნული ღირსებებით.

თითქოს არაფრით გამოირჩეოდა სხვათაგან, მაგრამ იყო გამოჩრეული. დიმილი ეფნა სახეზე, დადებითი ემოცია მოდიოდა მისგან ყოველთვის. არავის აგრძობინებდა საკუთარ გულისწინადაც. გული საამისოდ ყოველთვის დახურული ჰქონდა. სამაგიეროდ გულდა იყო მათთვის, ვინც მის ირგვლივ ტრიალებდა, ვინც მას იცნობდა. კორნელი საყვალას ძე სიამაშვილი სოფ. მთისპირის დიდბად 1939 წლის პირველ მისის, დიდ, ტრადიციულ, ლამაზ ოჯახში. უმცროს მასთან, გულასთან ერთად იქვე ისწავლა სიყვარული და პატრისცემა ოჯახის, მშობლის, დედამამიშვილის, მოყვასის. სკოლის დამთავრების შემდეგ მთისპირაში დაიწყო მუშაობა თიხის მოპოვების კარიერაში. 1958 წელს ოჯახი საცხოვრებლად ოზურგეთში გადავიდა და მან მუშაობა მაღაროთა სამმართველოს

1974 წელს შექმნა ოჯახი. სამი შვილი შეეძნათ კორნელის და პოლას, ხათუნა, შოთა, სანდრო (საყვალა). სამთავე უმაღლესი განათლება მიიღო. მათი სიხარულით ხარობდნენ. 30 წელი იცხოვრეს ბედნიერი თანაცხოვრებით. 2005 წელს მძიმე ავადყოფობით გარდაიცვალა პოლა გეგიაძე. ორთავე მშობლის მკვიდრობა მარტომ აიტვირთა მამამ მხრებზე. მისეული მონაგანი ძლიერებით ცდილობდა დედის დაკარგვის ტკივლი შეეშუბუქებინა შვილებისთვის. ყველა ეფეჩრებოდა, ყველასთვის ცხოვრობდა. ჯანმრთელობა გაუტეხა ცხოვრების ქარტეხილმა, გული ვერა. ამ გულით შეხვდა სუთიოდ თვის წინ საწუთროს გზასაყარს. საუკეთესო შვილი იყო, საუკეთესო მამა, მეუღლე, მამა, ბიძა, მეგობარი და... რაც მოავრია ადამიანი.

ველარ გაულის დაბადების დღეზე გაზაფხულმა. მონატრებამ და სვედამ იმძლავრა. წავიდა და გაიფილა მისეული დიმილი. წავიდა და დაგვიტოვა მოგონებებში ჩანატული მისი დიმილიანი სახე და ბეჭი, ბეჭი საკეთილო საქმე, **ოჯახი, ახლოვლები, მემორია.**



ცილა, ტოლიკა ქავთარაძეები იუწყებიან **გურამ ცარცხაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნაირა, სპარტაკ, ამირან მამულაიშვილები თანაუგრძნობენ ლადა, ცირა, ჟულიანა ქიდიფთარებს დედის **გუგულის** გარდაცვალების გამო.

დიდი მემარაგნი



ჯოჯეფ ვეიტი

ლონდონის კენსალ გრინის ძველ სასაფლაოზე ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „მისტერ ჯოჯეფ ვეიტონის ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომელიც 1835 წლის 29 ივნისს გარდაიცვალა 69 წლის ასაკში...“

ჯოჯეფ ვეიტონი, სრულიად სამართლიანად, ყველა დროსა და ერის ყველაზე დიდ მემარაგედ ითვლება.

ვეიტონი 1766 წელს დაიბადა და თავისი დროის გამოჩენილი მოღვაწე, უნიკალური პიროვნება გახლდათ. სწორედ ჯოჯეფი იყო ინგლისური საიარაღო სკოლის ფუძემდებელი.

ამ ადამიანმა დაიწყო ტექნიკური სიანგელების შემოტანა ესთეტიურ ხედვასთან სინქრონიზაციაში. ყველა სხვა ინგლისელი მემარაგე პრაქტიკულად ავითარებდა და ხვეწდა ვეიტონის სწავლებას (რა თქმა უნდა სიანგელების შეტანით). განსაკუთრებით ეს თვალშისაცემია პერდეს, ბოსის და ლანკასტერის იარაღში. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ყველა მათგანი ვეიტონის მოსწავლეები იყვნენ.

ჯოჯეფ ვეიტონის უფროსმა ძმამ ჯოიმ(ჯონ ტვივის მოსწავლე) 1782 წელს კომპანია დააფუძნა. ჯოჯეფი თავიდან მასთან მუშაობდა, 1789 წელს კი საკუთარი საქმე წამოიწყო. ორთავე ძმამ სხვადასხვა ტიპის იარაღის დამზადებით დაიწყო მოღვაწეობა, თუმცა ჯოჯეფმა მალე მთელი თავისი ძალისხმევა სანადირო თოფების სისტემების გაუმჯობესებასა და განვითარებისაკენ მიმართა. ის ღმერთისაგან დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ, მუდმივ ძიებასა და კვლევაში იყო. ამან არა მარტო მისი ნაწარმისადმი გაზარდა ინტერესი, არამედ საერთოდ, უფრო პოპულარული გახადა ნადირობა და სპორტი.

ვეიტონს დიდ მხარდაჭერას უწევდა მისი მეგობარი, პოლკოვნიკი პიტერ ჰოკერი, რომელიც ნადირობის დიდი ტრფიალი იყო. პოლკოვნიკი ვეიტონის იარაღს პრაქტიკულად ცდიდა. პოკერისათვის დამზადებულ თოფებს პოლკოვნიკი თავად ანიჭებდა სახელებს. მაგალითად, 1807 წელს გამოშვებული „ძველი ჯო“, 1814 წელს გამოშვებული „დიდი ჯო“ და ა.შ. ჯოჯეფ ვეიტონს ეკუთვნის ბევრი გამოგონება, რომლებმაც დიდწილად გაზარდეს თოფის მანევრირებისა და მართვის შესაძ-

ლებლობანი. რამდენიმე მათგანი მიმართული იყო დენთის წვის დაჩქარებისაკენ: ოსტატმა ჩახმაზის სვლის მანძილი შეამცირა და გაუძლიერა საბრძოლო ზამბარა, რამაც აფეთქება დააჩქარა; საკეტის სივანე შეამცირა, რამაც იარაღის ესთეტიური მხარე გააუმჯობესა; სწორედ ვეიტონმა წამოწია სამიზნე თამაში. ამან დამიზნება გაადვილა, რამეთუ ლულები აღარ ფარავდნენ სამიზნეს. აგრეთვე ვეიტონმა შემოიღო მცველის განსაკუთრებული ელემენტი, რომელმაც გადატენვის დროს უსაფრთხოება გაზარდა.

აღნიშნულმა გამოგონებებმა ბრიტანული იარაღი განსაკუთრებულ მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მემარაგეებმა სარჭიანი საკეტების გაუმჯობესება და ახალი



სისტემების დამზადება დაიწვეს. ვეიტონიც არ დარჩენილა ამ მოვლენების მიღმა. 1807 წელს შოტლანდიელმა მღვდელმა, ალექსანდრე ჯონ ფორსაიტმა დააბატენტა ფისტონური საკეტი, რომელსაც „ფლაკონი“ უწოდებდა. ვეიტონმა მსგავსი სისტემა 1818 წელს შექმნა და მიიღო მასზე პატენტი, თუმცა მისი საკეტი „ფლაკონს“ ვერ ჯობინდა. მოგვიანებით ვეიტონმა შოტლანდიელი მღვდლის საკეტის გაუმჯობესებაზე დაიწყო მუშაობა და შეძლო კიდევ გაუმჯობესება (გამოგონების მთავისების ბრალდებით, ფორსაიტის საჩივრის საფუძველზე, სასამართლოშიც მოუწია ბლომად სიარული). გაუმჯობესებული „ფლაკონი“ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.


ვეიტონის თოფების, სისტემებისა და საკეტების პოპულარობა მაღლიან მაღალი გახლდათ. ვეიტონი აქტიური საქმიანობიდან 1826 წელს გავიდა, თუმცა კიდევ დიდი ხანი აგრძელებდა კონსულტაციებსა და დახმარებას თავისი მოსწავლეებისათვის, რომლებიც ოსტატობას უფრო და უფრო ხვეწდნენ. ამ ოსტატთა და მათი მოსწავლეების სახელები სამუდამოდ შევიდა მემარაგეობის ისტორიაში.

მემარაგეთა შოტლანდიური სკოლა

როცა ამ სკოლაზე საუბრობენ, ზოგჯერ მის ფუძემდებლად ფორსაიტს მოიხსენიებენ. თუმცა ეს მოსაზრება მცდარია.

ფორსაიტი მართლაც შოტლანდიელი გახლდათ, თუმცა მისი წვლილი საიარაღო საქმის განვითარებაში სხვაგვარი გახლდათ.

ფორსაიტის შესახებ პირველად ალაპარაკდნენ მეცხრამეტე საუკუ-



ნის დასაწყისში, როცა მან საკეტის ახალი სისტემა წარმოადგინა (აღნიშნულზე უკვე გვქონდა საუბარი წინა პუბლიკაციაში). თუმცა ცნება „სკოლა“ ტექნიკურ გამოგონებებზე უფრო დიდ რეგალიებს მოიცავს. ამ ცნებაში უპირველეს ყოვლისა იარაღის სტილი მოიაზრება და მასში ფორსაიტის გავლენაზე საუბარი ზედმეტია...

შოტლანდიელი მემარაგეები იარაღს ყოველთვის ამზადებდნენ განსაკუთრებული, უნიკალური კონსტრუქციული გადაწყვეტითა და დიზაინით, და ეს განსაზღვრავდა ცნება „სკოლას“.

ცეცხლსასროლ იარაღს ედინბურგში XV საუკუნის ბოლოდან აწარმოებდნენ. მემარაგეები გაერთიანებულნი იყვნენ კორპორაციაში, რომელსაც სახელად ამბერმენ ერქვა. გაერთიანება მონოპოლიას ფლობდა და გააჩნდა საკუთარი თვითმმართველობა. კორპორაციის წევრები დარეგისტრირებული იყვნენ სპეციალურ წიგნებში(ინსტრუქტორი), რომელშიც პირველი ჩანაწერები 1494 წლით თარიღდება.

შოტლანდიელი ოსტატები იმ დროისათვის საუკეთესო მარვენებლების მქონე იარაღს აწარმოებდნენ და შესაბამისი ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

XIX საუკუნის შოტლანდიური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი გახლდათ ფრანც ინის(Francis Innes), რომლის მემარაგე წინაპართა სახელები Minute Book-ში ჯერ კიდევ 1683 წლიდან ხვდებით. აგრეთვე ცნობილია უოლესების (Wallace) საგვარეულო დინასტია. ამ გვარის წარმომადგენლები 1795 წელს სათავეში ჩაუდგნენ კომპანია Innes & Wallace, Gunmaker to His Majesty-s. 1803 წლიდან ინსმა და უოლესმა დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაიწყეს მუშაობა. აღნიშნული 2 გვარის მემარაგეები გამოირჩეოდნენ იმიტაც, რომ ისინი ამზადებდნენ თოფებს ფორსაიტის საკეტებზე.

1806 წელს უოლესთან მუშაობა დაიწყო შემდგომში ყველაზე ცნობილი შოტლანდიელი მემარაგე ჯონ დიქსონმა. დღემდე არსებობს დოკუმენტი, რომელიც მეტყველებს კონტრაქტზე (დათარიღებულია 1806 წლის 13 ოქტომბრით) ჯეიმს უოლესსა და ჯონ დიქსონს შორის.

წლების განმავლობაში დიქსონის ნაკეთობები უოლესის სახელით გამოდიოდა, თუმცა უკვე 1836 წელს უოლესის ფირმაში შეხედობლივ თოფებს, რომლებსაც სახელი დიქსონი ამშვენებდა.

უოლესი 1841 წელს საქმიდან გადის...

1840 წლისათვის შოტლანდიაში ყველაზე მეტად ცნობილი მემარაგეები იყვნენ: თომას ბრაისი, ჯონ დიქსონი, ჯოჯეფ პარკომი, უილიამ ლეინგი, ალექს ტომსონი და უოლესი. ექსპერტთა მოსაზრებით ამ პერიოდის შოტლანდიური იარაღი ძალიან მაღალი დონისაა!

თომას ბრაისი აწარმოებდა თოფებს 1833-1837 წლებში.

ჯოჯეფ პარკომი დაბადებულია ლონდონში და საცხოვრებლად ედინბურგში გადავიდა 1835 წელს. 1837 წელს საკუთარი საქმე წამოიწყო. ამ ოსტატის ნაკეთობებს ექსპერტები აფასებენ ეპითეტით –სრულყოფილება!!! და მაღლიან ძვირსაც ფასობდა(განსაკუთრებით ცნობილი იყო მისი თოფები ენსონ-დილის საკეტებზე). ამ გვარის ბოლო მემარაგე 1938 წელს გარდაიცვალა. წარმოება სხვა პირების საკუთრება გახდა და საბოლოოდ შთანთქა კომპანიამ ორტიმერ & შონ. თუმცა ტრადიციები ამ კომპანიის ხელშიც შენარჩუნებულ იქნა.

უილიამ ლეინგმა წარმოება დაიწყო 1818 წელს და მუშაობდა 1853 წლამდე. დღევანდელი მემორჩა ამ ოსტატის მხოლოდ და მხოლოდ ერთი იარაღი.

თომას მორტიმერი დაბადებულია ლონდონში. 1807 წელს ის მუშაობდა ლონდონში. შემდეგ ის გადავიდა ედინბურგში და 1834 წელს აქ გახსნა მაღაზია-საწარმო სადაც ამზადებდა თოფებსა და პისტოლეტებს (შემდგომში ეს საწარმო „ჩაყალბა“ დიქსონის კომპანიამ).

გვარ ტომსონს ბევრი მემარაგე ატარებდა. ისინი ინსტრუქტორ-ში მოხვდნენ ჯერ კიდევ 1606 წლის დასაწყისიდან, ხოლო ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი მემარაგეებში ირიცხებოდა 1881 წელს.

შოტლანდიელი ოსტატების პლიადაში დამსახურებული ადგილი უკავია დანიელ ფრეიზერს (Daniel Fraser), რომელიც 1845 წელს დაიბადა. მან ა. ჰენრის საწარმოში დაიწყო მუშაობა ლულების წარმოებით და აქ დაჰყო 7 წელი. 1873 წელს საკუთარი საწარმო დააფუძნა, რომელსაც 1878 წლიდან D & J რასერ დაერქვა. ცნობილი იყო მისი შტუცერები, რომელშიც დაბატენტებული საკეტები დგებოდა (1880 წლის პატენტი). დამფუძნებელი გარდაიცვალა 1902 წელს, თუმცა საწარმო აგრძელებდა მუშაობას მისი ვაჟების ხელმძღვანელობით. 1918 წელს ფირმა შეერწყა კორპორაცია A. Sanders Ltd.-ს

ედინბურგის ოსტატთა შორის ჰენრი ერთ-ერთი გამოჩენილია. დაიბადა 1828 წელს და გარკვეული პერიოდი მუშაობდა მორტიმერთან. 1853 წელს ჰენრიმ დააფუძნა საკუთარი საწარმო, სადაც მრავალი სახის იარაღს ამზადებდა, მათ შორის გლუვლულიანებსაც. 1865 წლიდან დაწყებული ჰენრიმ საკეტების მთელი


სისტემა დააბატენტა. 1871 წელს ინგლისის ჯარის შეიარაღებაში აიღეს კარაბინები, რომლებიც მარტინ-ჰენრის სახელითაა ცნობილი. შემდეგ ეს იარაღი თავიანთ ჯარში შეიტანეს თურქეთმა, რუმინეთმა, ეგვიპტემ და ჩინეთმა.

ჰენრი გარდაიცვალა 1894 წელს. მისმა საწარმომ არსებობა გააგრძელა, შემდეგ შეისყიდა ამარტინის კომპანიამ გლაზგოში, ხოლო ბოლოს შეუერთდა დიქსონის კომპანიას.

კიდევ ერთი ცნობილი შოტლანდიური ფირმა უკავშირდება ჯეიმს მაკ-ნოტონის სახელს. პირველად ამ სახელით მემარაგე ფიქსირდება 1864 წელს. 1872 და 1879 წელს ადუენთან ერთად დაბატენტა სასხლეტების შეყენების სისტემა. შემდეგ ამ სისტემას ეწოდა dinburg Action.

ძველი შოტლანდიური ფირმებისა და ოსტატების გრძელი რიგიდან კონკურენტისა და ისტორიულ კატაკლიზმებს მხოლოდ დიქსონების ფირმა გაუმკლავდა. შოტლანდიურ სკოლას აქვს მაღლიან სასახლო ტრადიციები, რასაც დიდი საწარმო Dickson & MacNaughton-is გარდა, რამდენიმე ოსტატი აგრძელებს მცირე მასშტაბის წარმოებით.

უილიამ ვეიტი (1834-1921წ)



24 წლის ასაკში მძიმედ დაავადდა წითელათი და თითქმის მთლიანად დაკარგა მხედველობა (ხედავდა მხოლოდ სილუეტსა და სინათლეს).

გარინერმა ამ მდგომარეობაში თავისი ყველაზე დიდი გამოგონება ე.წ. „გარინერის ურდული“ შექმნა!!! გარდა ამისა დააბატენტა ქვედა გასასხნელი ბერკეტი, აგრეთვე შიდა სასხლეტები. შექმნა თოფი ლულათა ვერტიკალური წყობით, რომელიც იხსნებოდა მარჯვნივ.

ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რომ თითქმის ბრმა ადამიანი ამას ახერხებდეს...

მეტიც, უილიამ ველიგტონ გარინერი 1871-1876- 1881-1910 წლებში აქვეყნებს ფუნდამენტალურ ნაშრომებს იარაღთან დაკავშირებით. ნაშრომის შექმნისას ოსტატს სხვა წყაროებიდან კითხვის საშუალება არ ექნებოდა...

მოამზადა გელა ჩავლივივილია (გაბრძემლობა იძნება)

7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | | | | | | | | |
|---------|---------------|---------|--------------|---------|-------------------|---------|--------------------|---------|---------------|---------|------------------|----------|---------------|
| | წვიმა, +10+14 | | წვიმა, +8+15 | | მზე, ღრუბლი +9+18 | | მზე, ღრუბლი +12+22 | | წვიმა, +17+21 | | ელ-ქვიმი, +14+24 | | წვიმა, +11+15 |
| 4 მაისი | ორშაბათი | 5 მაისი | სამშაბათი | 6 მაისი | ოთხშაბათი | 7 მაისი | ხუთშაბათი | 8 მაისი | პარასკევი | 9 მაისი | შაბათი | 10 მაისი | კვირა |